ბრძანება:**ბ32. 32233263**

თარიღი:**22/11/2023**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა"და ,,ე.ე" პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტარციული კოდექსი"- ს 54-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" #669 დადგენილების მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 მუხლებისა და მე-13 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, პირველი ნაწილის, 36 - ე მუხლის მე - 3 და მე - 4 ნაწილების, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 21 ნოემბრის №07-3223325202 მოხსენებითი ბარათის **შესაბამისად,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი 2023 წლის 24 ნოემბრიდან 08 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თანდართული დოკუმენტის სახით წარმოდგენილი, უძრავი ქონების ამავე დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად პრივატიზების მიზნით.

2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილებას, უზურნველყოს ამ ბრძანების აღსასრულებლად სათანადო ღონისძიებების განხორციელება (www.eauction.ge-სათვის აუქციონის ორგანიზების მიზნით სათანადო ინფორმაციის მიწოდებისა და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი).

3. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა.

4. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტის შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წეისის შესაბამისად.

5.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის

მერის მოადგილეს თემურ შუბითიძეს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.

ბოლნისი, სულხან - საბას ქუჩა #113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი